შპს “ფინანსური ტრიუმფი”
ს/ნ 445751856

სესხისა და გირავნობის ხელშეკრულება N[nom]
ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობები

ქ.ბათუმი [date]

სესხის საპროცენტო განაკვეთი

- საპროცენტო სარგებლის ტიპი: ფიქსირებული
- სესხის საპროცენტო განაკვეთი: წლიური [wproc] %
- სესხის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი : წლიური [esg] %

ფინანსური ხარჯები

- ყოველ 1 თვეში შენატანი (სრული) თანხა , სესხის ძირითადი თანხის [procenti]%, [procvalue] ლარი

სხვა დამატებითი სახელშეკრულებო ინფორმაცია

- სესხის ძირითადი თანხა [xelzetanxa] ლარი;
- მსესხებლის მიერ გადასახდელი მთლიანი თანხის ოდენობა: _____ ლარი;
- სესხის ვადა: 1 თვე;
- ხელშეკრულების დასრულებამდე წინსწრებით დაფარვის პირგასამტეხლო შეადგენს ნარჩენი ძირითადი თანხის 0 ლარი;
- პირგასამტეხლო გადახდის ვადის გადაცილებისას - ერთჯერადად 0 ლარი და ასევე ნარჩენი ძირითადი თანხის [jarima]% ყოველ ვაგადაცილებულ დღეზე. ვადაგადაცილების დაწყებიდან მის სრულ აღმოფხვრამდე პერიოდში ხარჯების (მათ შორის სესხის %) დაკისრება წყდება მას შემდეგ, რაც მათი ჯამური მოცულობა მიაღწევს მიმიდნარე ნარჩენი ძირითადი თანხის 1.5-მაგ ოდენობას.

ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, სესხთან დაკავშირებული სასესხო მოთხოვნა დაკმაყოფილებულად ჩაითვლება მხოლოდ წინამდებარე სესხის უზრუნველყოფის საშუალებ(ებ)ის მიმართ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი ღონისძიებების (მათ შორის, ქონების რეალიზაციის ან/და დასაკუთრების გზით) განხორციელებით.
ზემოაღნიშნული წესი არ გამოიყენება უზრუნველყოფის საგნის განზრახ განადგურების/გადამალვის შემთხვევაში.

შპს „ფინანსური ტრიუმფი“-ს წინაშე არსებული პრეტენზიები მსესხებელს შეუძლია წარადგინოს ზეპირად, თავისუფალი წერილობით ან სტანდარტული წერილობითი ფორმით გამსესხებლის ნებისმიერ ფილიალში ან ელ.ფოსტის მეშვეობით, რომელიც განხილული იქნება მაქსიმუმ 1 თვის განმავლობაში.

„გაეცანით მომხმარებელთათვის სასარგებლო ინფორმაციას საქართველოს ეროვნული ბანკის ვებგვერდსა - www.nbg.gov.ge/cp და ცხელ ხაზზე - 032 2 406 406”

გამსესხებელი _____ მსესხებელი _____

შპს “ფინანსური ტრიუმფი”
ს/ნ 445751856

სესხისა და გირავნობის ხელშეკრულება N[nom]

ქ. ბათუმი [date]

ერთის მხრივ **შპს „ფინანსური ტრიუმფი“** (ს/ნ 445751856), (შემდგომში „გამსესხებელი“) წარმოდგენილი [username] სახით და მეორეს მხრივ [aname] (პ/ნ [sn]) (შემდგომში „მსესხებელი“), ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას მასზედ, რომ:

1.ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე გამსესხებელი იღებს ვალდებულებას მისცეს სესხი მსესხებელს, ხოლო მსესხებელი ვალდებულია გადაიხადოს მიღებული სესხი, დარიცხული საპროცენტო სარგებელი/საკომისიო/პირგასამტეხლო და სრულად შეასრულოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებები.

2. სესხით სარგებლობის პირობები

2.1. სესხის ოდენობა: [tanxa] ლარი;
2.2. სესხის გაცემის თარიღი: [date]. წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების ვადა: 1 თვე;
2.3. საპროცენტო სარგებლის ტიპი - ფიქსირებული. სესხის საპროცენტო განაკვეთი: წლიური [wproc]% , ეფექტური საპროცენტო განაკვეთი: წლიური [esg]%;
2.4. გამსესხებელი უფლებამოსილია დააკისროს მსესხებელს პირგასამტეხლო ვადაგადაცილებაზე - ნარჩენი ძირითადი თანხის [jarima]% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე;
2.5. სესხის ყოველთვიური პროცენტი [procenti] %;
2.6. ვადაგადაცილების დაწყებიდან მის სრულ აღმოფხვრამდე პერიოდში ხარჯების (მათ შორის სესხის %-ის) დაკისრება წყდება მას შემდეგ, რაც მათი ჯამური მოცულობა მიაღწევს მიმდინარე ნარჩენი ძირითადი თანხის 1.5-მაგ ოდენობას;
2.7. სესხის გაცემის საკომისიო 0 ლარი;
2.8. პირგასამტეხლო სესხის წინსწრებით დაფარვისას 0 ლარი;
2.9. სესხის გაცემის და დაფარვის წესი:
2.9.1. სესხი გაიცემა ერთ ნაწილად;
2.9.2. მსესხებელი ვალდებულია დაფაროს სესხის ძირითადი თანხა და მასზე დარიცხული სარგებელი წინამდებარე ხელშეკრულების 2.5. პუნქტში მითითებული წესის შესაბამისად;
2.9.3. მსესხებლის მიერ კრედიტორისათვის გადახდილი თანხით მსესხებლის დავალიანება დაიფარება შემდეგი თანმიმდევრობით: პირგასამტეხლო/ჯარიმა (ასეთის არსებობის შემთხვევაში), დარიცხული პროცენტი/სარგებელი, კრედიტის ძირითადი თანხა. ამასთან კრედიტორი უფლებამოსილია საკუთარი შეხედულებისამებრ შეცვალოს ფულადი ვალდებულების დაფარვის რიგითობა;
2.9.4. ერთზე მეტი მიმდინარე დავალიანების არსებობის შემთხვევაში, როდესაც მსესხებლის მიერ გამსესხებლისთვის გადახდილი თანხა არ არის საკმარისი ერთზე მეტი ვადამოსული/ვადაგადაცილებული ვალდებულების სრულებით შესასრულებლად და მსესხებელი არ აირჩევს ვალდებულების დაფარვის რიგითობას, გამსესხებელი მიღებულ თანხებს მიმართავს იმ ვალდებულების დასაფარად, რომელიც უფრო ადრე წარმოიშვა ან/და მსესხებლისთვის უფრო მძიმეა.
2.10. ყოველთვიურად დარიცხული საპროცენტო სარგებლის გადახდა წარმოებს კრედიტის მოქმედების ვადის ბოლოს. იგივე პირობა ვრცელდება კრედიტის მოქმედების ყოველი შემდგომი ვადის ავტომატური გაგრძელების შემთხვევაში;
2.11. მსესხებელი/დამგირავებელი უფლებამოსილია ვადაზე ადრე ნაწილობრივ ან სრულად დაფაროს სესხის ძირი თანხა, მასზე დარიცხული საპროცენტო სარგებელი და პირგასამტეხლო (ასეთის არსებობისას), ნაწილობრივ დაფარვის შემთხვევაში სესხისა და ხელშეკრულების მოქმედების ვადა (2.2. პუნქტი და 2.5. პუნქტი) გახანგრძლივდება ავტომატურად ყოველი მომდევნო 1 თვის ვადით, ხოლო საპროცენტო სარგებლის დარიცხვა გაგრძელდება სესხის შემცირებულ ძირზე.

გამსესხებელი _____ მსესხებელი _____

3. საპროცენტო სარგებელი, მისი დარიცხვისა და შეწყვეტის წესი

3.1. კრედიტის ეფექტური საპროცენტო სარგებელი იანგარიშება კრედიტით სარგებლობის ფაქტიური დღების შესაბამისად, წელიწადში 365 დღეზე გაანგარიშებით, ამასთან, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გაანგარიშებაში გაითვალისწინება ყველა ფინანსური ხარჯი, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ მოთხოვნილია გამსესხებლის მიერ და წარმოადგენს მსესხებლის მიერ სესხის მიღების, შენარჩუნების და/ან ამ სესხით სარგებლობის დასრულებისათვის გასაწევ აუცილებელ ხარჯს.

თუ გამსესხებელი ვადამდე, ცალმხრივად შეწყვეტს ამ ხელშეკრულებას, საპროცენტო სარგებლის დარიცხვა გაგრძელდება სესხის დაბრუნებამდე მანამ სანამ ვადაგადაცილებულ სესხზე მიმდინარე ვადაგაცილების სრულ აღმოფხვრამდე დარიცხული პროცენტისა და პირგასამტეხლოს ჯამური ოდენობა გაუტოლდება სესხის მიმდინარე ნარჩენი ძირითადი თანხის 1.5-მაგ ოდენობას ან წინამდებარე ხელშეკრულების უზრუნველსაყოფად დაგირავებული ნივთების რეალიზაციამდე.

4. პირგასამტეხლოს დარიცხვის წესი

4.1. იმ შემთხვევაში თუ გამსესხებლის ანგარიშზე არ ჩაირიცხება ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყოველთვიურად გადასახდელი თანხა, გამსესხებელი უფლებამოსილია (არ არის ვალდებული) დააკისროს, ხოლო ასეთ შემთხვევაში მსესხებელი ვალდებულია გადაიხადოს პირგასამტეხლო წინამდებარე ხელშეკრულების 2.4. პუნქტში მითითებული ოდენობით ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის. პირგასამტეხლოსა და ჯარიმის გადახდა არ ათავისუფლებს მსესხებელს ამ ხელშეკრულებით დადგენილი სხვა გადასახდელების გადახდისაგან.

5. სესხის უზრუნველყოფა

5.1. სესხებელი/დამგირავებელი წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების უზრუნველსაყოფად გირავნობის უფლებით ტვირთავს მის საკუთრებაში არსებულ ძვირფასეულობას, რომლის ჩამონათვალი და ღირებულება მოცემულია მხარეებს შორის გაფორმებულ ძვირფასი ლითონების შეფასებისა და მიღება-ჩაბარების აქტში # [nom] (1) . აღნიშნული აქტი თან ერთვის წინამდებარე ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს;
5.2. მსესხებელი/დამგირავებელი წინამდებარე ხელშეკურლების ხელმოწერისთანავე გამსესხებელს/მოგირავნეს პირდაპირ მფლობელობაში გადასცემს წინამდებარე ხელშეკრულების 5.1. პუნქტში მითითებულ ძვირფასეულობას და მისთვის ცნობილია, რომ წინამდებარე ხელშეკრულების უზრუნველსაყოფად მიღებული გირავნობის საგნები გამსესხებელი/მოგირავნის მიერ მიიღება როგორც ლითონი და არ განიხილება როგორც ნაკეთობა;
5.3. გირავნობის საგნით უზრუნველყოფილია სესხის ძირითადი თანხა, საპროცენტო სარგებელი, პირგასამტეხლო, ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილებით გამოწვეული ზარალი, აგრეთვე გამსესხებლის/მოგირავნის მიერ დაგირავებული ძვირფასეულობის შენახვა-რეალიზაციის ხარჯები. გირავნობის საგნით ასევე უზრუნველყოფილია ამ ხელშეკრულების საფუძველზე გაფორმებული ნებისმიერი დამატებითი ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება, დავალიანების იძულებითი წესით გადახდევინებაზე მოგირავნის მიერ გაწეული ყველა დანახარჯის ანაზღაურება;
5.4. გირავნობით უზრუნველყოფილი მოთხოვნის მაქსიმალური ოდენობა შეადგენს [uzrunvelyofa] ლარს;
5.5. გირავნობის საგანი ინახება გამსესხებელთან/მოგირავნესთან;
5.6. გირავნობის უფლება ვრცელდება გირავნობის საგნიდან მიღებულ ნაყოფზეც;
5.7. წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში გირავნობის საგნის გატანა შესაძლებელია მხოლოდ მსესხებლის ან მსესხებლის უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ სათანადო წესით დამოწმებული მინდობილობის წარმოდგენის

შემთხვევაში ან წინადმებარე ხელშეკრულებაში რწმუნებულის სახელის, გვარისა და პირადი ნომრის მითითების შემთხვევაში;
5.8. მსესხებელი/დამგირავებელი ინფორმირებულია იმ სამართლებრივ შედეგებზე, რაც შესაძლოა მოჰყვეს ქონების დაგირავებას, მას მიღებული აქვს სრული და ამომწურავი ინფორმაცია საკრედიტო ვალდებულებების შესახებ და გაცნობიერებულად ანდობს ქონებას მოგირავნეს.

6. კრედიტის წინსწრებით დაფარვა

6.1. მსესხებელი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს სესხის ძირითადი თანხის ვადაზე ადრე დაბრუნება მთლიანად ან ნაწილობრივ, ამასთან სესხის წინსწრებით დაფარვის წესი მოცემულია წინამდებარე ხელშეკრულების 2.8 პუნქტში;
6.2. გამსესხებელი უფლებამოსილია, მსესხებლის მიერ სესხის სრულად ან ნაწილობრივ დასაფარად გადახდილი თანხით მოახდინოს სესხის წინსწრებით დაფარვა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნულის თაობაზე მსესხებელი წერილობითი ფორმით ან/და სხვა დისტანციური საკომუნიკაციო საშუალებით (შესაბამისი იდენტიფიცირების შემდეგ) მიმართავს გამსესხებელს.

7. პრეტენზიების წარდგენის ფორმა

7.1. შპს „ფინანსური ტრიუმფი“-ს წინაშე არსებული პრეტენზიები მსესხებელს შეუძლია წარადგინოს ზეპირად, თავისუფალი წერილობით ან სტანდარტული წერილობითი ფორმით გამსესხებლის ნებისმიერ ფილიალში ან ელ.ფოსტის Financetriumph2024@gmail.com მეშვეობით, რომელიც განხილული იქნება მაქსიმუმ 1 თვის განმავლობაში.

8. პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ

8.1. მსესხებელი აცხადებს - ჩემთვის ცნობილია, რომ **შპს „ფინანსური ტრიუმფი“** (ს/ნ 445751856), შეაგროვებს/დაამუშავებს ჩემს შესახებ ყველა იმ საკრედიტო/არასაკრედიტო და სხვა რელევანტურ ინფორმაციას, რომელიც დაკავშირებულია საკრედიტო საინფორმაციო ბიუროსათვის ინფორმაციის მიწოდებასთან და ინფორმაციის მიღებასთან საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესითა და პირობებით. წინამდებარე ინფორმაცია მუშავდება ჩემი გადამხდელუნარიანობის ანალიზის მიზნისათვის და ხელმისაწვდომი იქნება საკრედიტო საინფორმაციო ბიუროში ჩართული მომხმარებლისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით. ჩემი მოთხოვნის შემთხვევაში მონაცემთა დამმუშავებელი ვალდებულია გაასწოროს, განაახლოს, დაამატოს, დაბლოკოს, წაშალოს ან გაანადგუროს მონაცემები, თუ ისინი არასრულია, არაზუსტია, არ არის განახლებული, ან თუ მათი შეგროვება და დამუშავება განხორციელდა კანონის საწინააღმდეგოდ. ასევე, **შპს „ფინანსური ტრიუმფი“** უფლებამოსილია ჩემი სასესხო ვალდებულებების მოქმედების პერიოდში განახორციელოს ჩემი საკრედიტო, არასაკრედიტო და სხვა რელევანტური ინფორმაციის გადამოწმება ბიუროში ჩემი დამატებითი თანხმობის გარეშე, ჩემი გადამხდელუნარიანობის შეფასების მიზნებისთვის;
8.2. გამსესხებელი უფლებამოსილია, წინამდებარე ხელშეკრულებით მისთვის მინიჭებული უფლებები, მსესხებლის თანხმობის გარეშე, დაუთმოს მესამე პირებს ან დაავალოს მესამე პირს დავალიანების მიღება, ასეთ შემთხვევაში აღნიშნული პირისთვის დასაშვებია წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა ინფორმაციის (მათ შორის მსესხებლის პერსონალური მონაცემების) გადაცემა.

9. მხარეთა განცხადებები და გარანტიები

9.1. მსესხებელი/დამგირავებელი აცხადებს და იძლევა გარანტიას, რომ გირავნობის საგანი არის ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო და მასზე სამართლებრივი დატვირთვა ან უფლებრივი შეზღუდვა არ არის რეგისტრირებული;
9.2. გირავნობის საგანი ნივთობრივად უნაკლოა,თუ გირავნობის საგანს არ გააჩნია რაიმე ისეთი სახის ნაკლი, რომელიც საჭიროებს გამოსწორებას;
9.3. გირავნობის საგანი ნივთობრივად უნაკლოა თუ მესამე პირებს არ აქვთ და არც შეიძლება ჰქონდეთ გირავნობის საგანზე პრეტენზიის წაყენების უფლება;
9.4. მსესხებელი/დამგირავებელი აცხადებს, რომ:
9.4.1. მართლზომიერად ფლობს გირავნობის საგანს საკუთრების უფლებით, გააჩნია წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერის, დადებისა და შესრულებისათვის აუცილებელი ყველა უფლებამოსილება სრულად და ამ მიზნით მის მიერ მოპოვებულია ყველა აუცილებელი თანხმობა;
9.4.2. არ მონაწილეობს არც ერთ სასამართლო პროცესში, მათ შორის ადმინისტრაციულ, სისხლის, სამოქალაქო სამართალწარმოებაში მოსარჩელის, მოპასუხის, მესამე პირის ან სხვა სუბიექტის სახით, რითაც საფრთხე ექმნება ან შეიძლება საფრთხე შეექმნას მის ქონებას, საკუთრების/სარგებლობის/მფლობელობის უფლებას გირავნობის საგანთან მიმართებით ან/და მის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების ან სხვა რომელიმე ხელშეკრულების პირობების შესრულებას;
9.4.3. მის მიერ გამსესხებლისათვის/მოგირავნისათვის წარდგენილი ინფორმაცია წინამდებარე ხელშეკრულების დადების დღისთვის არის უტყუარი და ზუსტი და წინამდებარე ხელშეკრულების დადება და მისი შესრულება არ გამოიწვევს მის მიერ ადრე დადებული რაიმე ხელშეკრულების პირობების დარღვევას;
9.4.4. წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია მის მიერ ნებაყოფლობით და არ წარმოადგენს მოგირავნის ან სხვა მესამე პირთა მხრიდან ძალადობის, მუქარის, მოტყუების, შეცდომის ან/და რაიმე სხვა რაიმე ნეგატიური გარემოების ზემოქმედების შედეგს;
9.4.5. მისთვის ცნობილია, რომ მოგირავნისათვის ყალბი ცნობების ან/და დოკუმენტების მიწოდება გირავნობის ხელშეკრულების გაფორმების მიზნით წარმოადგენს დასჯად ქმედებას საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით;
9.4.6. მსესხებელი/დამგირავებელი უფლებამოსილებას ანიჭებს გამსესხებელს/მოგირავნეს, წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმების ეტაპზე და ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში, გირავნობის საგნის (ძვირფასი ლითონები) ხარისხის, მისი მახასიათებლის ან/და დადგენილ ოქროს სტანდარტებთან შესაბამისობის მიზნით, განახორციელოს ნებისმიერი სახის ღონისძიება (მათ შორის ძვირფასი ლითონის ჩაქლიბვა), რაც ემსახურება გირავნობის საგნის ხარისხის შესწავლასა და დადგენას;
9.4.7. იმ შემთხვევაში, თუ გამსესხებლის/მოგირავნის მიერ გირავნობის საგნის შემოწმების მიზნით გატარებულმა ღონისძიებებმა გამოიწვია ძვირფასი ლითონის დაზიანება, გამსესხებელი/მოგირავნე სრულად თავისუფლდება მსესხებლის/დამგირავებლის წინაშე იმ პასუხისმგებლობისგან, რაც გამოწვეული იქნა ნივთის შემოწმების შედეგად.

10. მხარეთა უფლებები და მოვალეობები

10.1. მხარეები კისრულობენ ვალდებულებას, რომ შეასრულებენ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას;
10.2. <u>გამსესხებელი/ მოგირავნე უფლებამოსილია:</u>
10.2.1. მოითხოვოს მსესხებლისგან/დამგირავებლისაგან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების განუხრელად დაცვა და შესრულება;
10.2.2. ვადაზე ადრე შეწყვიტოს ხელშეკრულება, თუკი მსესხებლის/დამგირავებლის ქონებრივი მდგომარეობა იმდენად გაუარესდება, რომ საფრთხე შეექმნება სესხის დაბრუნებას;

10.2.3. მსესხებლის/დამგირავებლის მიერ აღებული სესხის ძირის, ასევე მასზე დარიცხული პროცენტის და პირგასამტეხლოს დაფარვის უფლება მისცეს ნებისმიერ მესამე პირს, რომელსაც გააჩნია მსესხებლის/დამგირავებლის იდენტიფიკაციისათვის საჭირო მონაცემები;
10.2.4. ნებისმიერ დროს თუკი ეჭვი გაუჩნდა მსესხებლის/დამგირავებლის მიერ მასთან დაგირავებული ძვირფასეულობის სიყალბესთან მიმართებაში, დაუყოვნებლივ მოსთხოვოს მსესხებელს/დამგირავებელს სესხის სრულად დაფარვა და დაგირავებული ნივთის გატანა;
10.2.5. გირავნობის საგნის მფლობელობაში მიღების შემდგომ ნებისმიერ დროს მესამე პირებთან დამატებით გადაამოწმოს გირავნობის საგნის (ლითონის) ნამდვილობა, იმ შემთხვევაში თუ ამგვარი შემოწმების ეტაპზე დაადგინდება რომ მიღებული ნივთი ყალბია მსესხებელი ვალდებულია დაუყოვნებლივ სრულად დაფაროს სესხი და გაიტანოს დაგირავებული ნივთი.
10.3. <u>გამსესხებელი/მოგირავნე ვალდებულია:</u>
10.3.1. გასცეს სესხის თანხა ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ოდენობით და ვადებში;
10.3.2. მოგირავნე ვალდებულია დამგირავებლის მიერ დავალიანების სრულად დაფარვის შემდგომ დაუბრუნოს მას 5.1. პუნქტში აღნიშნული ძვირფასეულობა 2 სამუშაო დღის განმავლობაში;
10.3.3. მსესხებლის/დამგირავებლის მიერ 10.4.1 პუნქტით განსაზღვრულ ვადაში საპროცენტო სარგებლის გადახდის ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეორვნად შესრულების შემთხვევაში, გამსესხებელი/მოგირავნე უფლებამოსილია ამ ვადის გასვლიდან 15 კალენდარული დღის განმავლობაში მსესხებლის მიერ დავალიანების გადაუხდელობის შემთხვევაში სარეალიზაციოდ მიაქციოს გირავნობის საგანი, ამასთან, იმ შემთხვევაში, თუ გირავნობის საგნის რეალიზაციის შედეგად მიღებული თანხა გადააჭარბებს/აღემატება ვალდებულების სრულად აღმოსაფხვრელად საჭირო თანხის მაჩვენებელს ნამატი თანხა გაითვალისწინება, როგორც გამსესხებლის საკუთრება.
10.4. <u>მსესხებელი/დამგირავებელი ვალდებულია:</u>
10.4.1. დააბრუნოს სესხის თანხა სარგებელთან (პროცენტთან) ერთად ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ოდენობით, პირობებით და ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა და მისი ვადამდე შეწყვეტის საფუძვლები
11.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის თარიღიდან, და მოქმედებს მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულებამდე;
11.2. წინამდებარე ხელშეკრულების 2.2. პუნქტით განსაზღვრული ვადის გასვლის შემდგომ მსესხებელი/დამგირავებელი ვალდებულია დააბრუნოს სესხი და მასზე დარიცხული საპროცენტო სარგებელი ან გადაიხადოს მხოლოდ ხელშეკრულებით განსაზღვრული საპროცენტო სარგებელი და პირგასამტეხლო (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ამ შემთხვევაში ხელშეკრულება გაგრძელებულად ითვლება ყოველი მომდევნო 1 თვით, ხოლო მსესხებელი/დამგირავებელი ვალდებულია სესხის ძირითადი თანხის სრულად გადახდამდე გადაიხადოს ყოველთვიური საპროცენტო სარგებელი ხელშეკრულების ვადის გაგრძელებიდან 1 თვის თავზე;
11.3. ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტა, მოშლა ან გაუქმება დასაშვებია ქვემოთ მითითებული საფუძვლებით:
11.3.1. მხარეთა ურთიერთშეთანხმებით;
11.3.2. მსესხებლის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში;
11.3.3. მსესხებლის მიმართ ნებისმიერი სასამართლო დავის წამოწყება, რითაც საფრთხე შეექმნება მსესხებელის ქონებას ან საეჭვო გახდება მსესხებელის მიერ ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვანი შესრულება;
11.3.4. გამსესხებელს/მოგირავნეს უფლება აქვს მსესხებლის მიერ სესხის პროცენტის გადახდის მიუხედავად შეწყვიტოს ხელშეკრულება და არ მიიჩნიოს იგი გაგრძელებულად მომდევნო 1 თვის ვადით და ხელშეკრულების საწყისი ვადის გასვლის შემდგომ ნებისმიერ დროს მოსთხოვოს მსესხებელს/დამგირავებელს დავალიანების სრულად დაფარვა, რაზეც წინასწარ შეატყობინებს მსესხებელს სმს შეტყობინების საშუალებით;

11.3.5. წინამდებარე ხელშეკრულება წყდება იმ ვადის გასვლის შედეგად, რა ვადითაც დადებულია იგი, თუ სახეზე არ გვაქვს 11.2. პუნქტში მითითებული შემთხვევა.
11.4. ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში:
11.4.1. მსესხებელი ვალდებულია დაუყოვნებლივ შეასრულოს ყველა ფინანსური ვალდებულება (ძირითადი თანხის, მასზე დარიცხული პროცენტის, ჯარიმის და პირგასამტეხლოს, აგრეთვე ნებისმიერი სხვა სახის დავალიანების ჩათვლით) გამსესხებლის წინაშე.
11.5. გამსესხებელი გათავისუფლდება ამ ხელშეკრულების შესაბამისად ნაკისრი ვალდებულებებისაგან მსესხებელის წინაშე.

12. მარეგულირებელი კანონმდებლობა და დავების გადაწყვეტის წესი
12.1. წინამდებარე ხელშეკრულება რეგულირდება და განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;
12.2. წინამდებარე ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი დავა ან უთანხმოება გადაწყდება ურთიერთშეთანხმებით მხარეთა შორის მოლაპარაკების გზით;
12.3. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, სადავო საკითხები განსახილველად და გადასაწყვეტად გადაეცემა ქ.ბათუმის საქალაქო სასამართლოს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

13. დამატებითი დებულებები
13.1. რომელიმე მხარის მხრიდან ხელშეკრულების მთლიანად ან ნაწილობრივ დარღვევასთან დაკავშირებით მეორე მხარის მიერ მისთვის მინიჭებული უფლებების გამოუყენებლობა არ გავრცელდება ხელშეკრულების ნებისმიერ შემდგომ დარღვევაზე. უფლებების ამგვარი გამოუყენებლობა ასევე არ იქონიებს გავლენას მეორე (არადამრღვევი) მხარის უფლებაზე ხელშეკრულების შემდგომ დარღვევასთან დაკავშირებით;
13.2. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება უნდა გაკეთდეს წერილობით და ხელი მოეწეროს მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ;
13.3. მხარეთა შეთანხმებით წინამდებარე ხელშეკრულების შესრულების ადგილად მიჩნეულია გამსესხებლის იურდიული მისამართი;
13.4. წინამდებარე ხელშეკრულების რომელიმე დებულების ბათილობა არ იწვევს მთლიანად ხელშეკრულების ბათილობას. ბათილი დებულების ნაცვლად გამოიყენება იმგვარი დებულება, რომლითაც უფრო ადვილად მიიღწევა ამ ხელშეკრულებით (და მათ შორის, ბათილი დებულებით) გათვალისწინებული მიზანი;
13.5. წინამდებარე ხელშეკრულების დანართები წარმოადგენენ მის განუყოფელ ნაწილს. ასეთი დანართებია: შემადგენელი ხელშეკრულებები თანდართული გრაფიკებით, ასევე უზრუნველყოფის შესახებ ყველა ხელშეკრულება, რაც დადებულია ამ ხელშეკრულებით ან დაიდება რომელიმე შემადგენელი ხელშეკრულებით მსესხებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების უზრუნველსაყოფად. ასევე ყველა ისეთი ხელშეკრულება რომელიც თავისი სამართლებრივი ბუნებით წინამდებარე ხელშეკრულების მომსახურებას ითვალისწინებს მათი დადების შემთხვევაში;
13.6. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, და თითოეული გადაეცათ მხარეებს;
13.7. გამსესხებლის საზედამხედველო ორგანოს წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ბანკი მდებარე მისამართზე: ქ. თბილისი, სანაპიროს ქ. N2.

14. მხარეთა რეკვიზიტები

გამსესხებელი: შპს „ფინანსური ტრიუმფი“	**მსესხებელი**: [name1]
მის.: ქ. ბათუმი, წმინდა სევერიან აჭარელის N15 / ქართველ იუნკერთა 1	**მის.**: [address]
ტელ.:	**ტელ.**: [atel]

გამსესხებელი _____ მსესხებელი _____

შპს “ფინანსური ტრიუმფი”
ს/ნ 445751856

საბანკო ანგ.: **საბანკო ანგ.:**

მე დამგირავებელი თანახმა ვარ ჩემი კუთვნილი ნივთი გაიტანოს:

სახელი, გვარი _____ პ/ნ _____

სასესხო განაცხადზე ხელმოწერით თანხმობას ვაცხადებ, რომ შპს „ფინანსური ტრიუმფი“ კანონმდებლობით დადგენილი წესით სესხის გაცემის მიზნით და ამ მიზნის განსახორციელებლად საჭირო მოცულობით, სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემთა ელექტრონული ბაზიდან მიიღოს ორგანიზაციისთვის აუცილებელი, ჩემი პერსონალური მონაცემები.

მსესხებლისთვის ცნობილია, რომ ხელშეკრულების საფუძველზე დაგირავებული ნივთი, შესაძლოა გადავიდეს სამართალდამცავი ორგანოს პირდაპირ მფლობელობაში, მათი დასაბუთებული მოთხოვნის (განჩინების, დადგენილების) წარდგენისას, ასეთი შემთხვევის არსებობის დროს, მსესხებელი არ თავისუფლდება სესხზე რიცხული ფულადი ვალდებულების შესრულებისაგან.

გამსესხებელი _____ მსესხებელი _____

შპს “ფინანსური ტრიუმფი”
ს/ნ 445751856

მიღება - ჩაბარების აქტი N[nom] (1)

ქ. ბათუმი [xelday][xelmonth], [xelyear]წ.

ხელშეკრულების მონაწილე მხარეები, ერთის მხრივ **შპს „ფინანსური ტრიუმფი“** (ს/კ 445751856), წარმოდგენილი **[username]** მიერ (შემდგომში **„გამსესხებელი“**) და მეორეს მხრივ **[name1]** (პ/ნ [**sn**]) (შემდგომში **„მსესხებელი“**) აღნიშნული მიღება-ჩაბარების აქტით ვადასტურებთ, რომ მსესხებელმა მხარეებს შორის დადებული სასესხო ხელშეკრულების უზრუნველსაყოფად გამსესხებელს დროებით მფლობელობაში გადასცა,

ნივთების ჩამონათვალი
[nivtebi]

ხოლო გამსესხებელმა ზემოაღნიშნული ხელშეკრულების შესაბამისად, ნაღდი ანგარიშსწორების გზით, მსესხებელს გადასცა [xelzetanxa] ლარი, სესხის სახით.

გამსესხებელი: შპს „ფინანსური ტრიუმფი“ **მსესხებელი:**_____

ხელმოწერა: _____ ხელმოწერა:_____

გამსესხებელი _____ მსესხებელი _____